თიანეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

სხდომის ო ქ მ ი №19

დ. თიანეთი **2010 წლის 3 დეკემბერი**

ესწრებოდნენ:
სხდომის თავმჯდომარე: გივი წიკლაური - თიანეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

სხდომის მდივანი: ხალიანა არჩემაშვილი - თიანეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის საორგანიზაციო განყოფილების მთავარი სპეციალისტი

საკრებულოს წევრები: ნუგზარ ყურშავიშვილი - თიანეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე

აგრეთვე: გიმზერ გოჯიაშვილი, გოჩა ჯანგირაშვილი, ზაზა ბადურაშვილი, იაგო შარაზადიშვილი, ზურაბ დავითაშვილი, იოსებ ფილაური, ზვიად ჯაბანიშვილი, მერაბ ქეშიკაშვილი, თეიმურაზ ცოცხალაშვილი, თამაზ პატარაშვილი, ირაკლი დიდებაშვილი, ბესიკ გიგაური, ნუკრი ქავთარაძე, დავით ჭინჭარაული, ზურაბ ბექაური,თამაზ სისაური

ინგა ჭყრუნიშვილი - თიანეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსი

დღის წესრიგი

1. „თიანეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის დებულების დამტკიცების შესახებ“ თიანეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2010 წლის 12 აგვისტოს №22 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე.
მომხსენებელი: გივი წიკლაური

2. თიანეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავ-მოძრავი ქონების სასყიდლიანი სარგებლობის ფორმით გადაცემისას საწყისი წლიური ქირის ოდენობის დადგენის შესახებ.
მომხსენებელი: გივი წიკლაური

3. „თიანეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების ფლობის, განკარგვის და ქონებით სარგებლობის წესის დამტკიცების შესახებ.“ თიანეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2010 წლის 15 სექტემბრის №62 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე.
მომხსენებელი: გივი წიკლაური

4. თიანეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო-საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის მიერ 2010 წლის განვლილ პერიოდში გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიშის მოსმენის თაობაზე.

მომხსენებელი: ზაზა ბადურაშილი

5. თიანეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების ა და ინფრასტრუქტურის კომისიის მიერ 2010 წლის განვლილ პერიოდში გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიშის მოსმენის თაობაზე.

მომხსენებელი: მერაბ ქეშიკაშვილი

6. თიანეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის მიერ 2010 წლის განვლილ პერიოდში გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიშის მოსმენის თაობაზე.

მომხსენებელი: გოჩა ჯანგირაშვილი

მოისმინეს:1. „თიანეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის დებულების დამტკიცების შესახებ“ თიანეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2010 წლის 12 აგვისტოს №22 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე.

მომხსენებელი: გივი წიკლაური

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ თიანეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის წარმოდგენილ დებულებაში გათვალისწინებულია ყველა ის ცვლილება და დამატება, რომელიც შეტანილ იქნა ,,ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში.

აზრი გამოთქვეს: თეიმურაზ ცოცხალაშვილმა, მერაბ ქეშიკაშვილმა

ღია კენჭისყრის შედეგად

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე–20–ე მუხლის შესაბამისად,

თიანეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო ა დ გ ე ნ ს:

მუხლი 1. „თინეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის დებულების დამტკიცების შესახებ“ თიანეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2010 წლის 12 აგვისტოს #22 დადგენილებაში, შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები:

(დადგენილება თან ერთვის)

მოისმინეს: 2. თიანეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავ-მოძრავი ქონების სასყიდლიანი სარგებლობის ფორმით გადაცემისას საწყისი წლიური ქირის ოდენობის დადგენის შესახებ.

მომხსენებელი: გივი წიკლაური

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ თიანეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავ-მოძრავი ქონების (გარდა მიწისა) საქართველოს სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული სარგებლობის ფორმებით სასყიდლით გადაცემისას საწყისი წლიური ქირა უნდა განისაზღვროს საქართველოს პრეზიდენტის 2010 წლის 19 აგვისტოს #659 ბრძანებულებით დამტკიცებული ,,სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზებო და სარგებლობაში გადაცემის საფასურის განსაზღვრის წესის“ შესაბამისად განსაზღვრული ქონების საპრივატიზებო საწყისი ფასის არანაკლებ 5%-ის ოდენობით.

აზრი გამოთქვეს: მერაბ ქეშიკაშვილმა, იაგო შარაზადიშვილმა

ღია კენჭისყრის შედეგად

,,ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 22-ე მუხლის 1-ლი პუნქტის ,,ქ“ ქვეპუნქტის, ,,ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19^5 მუხლის და ,,ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის 25-ე მუხლის საფუძველზე,

თიანეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ა დ გ ე ნ ს:**

(დადგენილება თან ერთვის)

მოისმინეს: 3. „თიანეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების ფლობის, განკარგვის და ქონებით სარგებლობის წესის დამტკიცების შესახებ.“ თიანეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2010 წლის 15 სექტემბრის №62 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე.

მომხსენებელი: გივი წიკლაური

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ საკითხის შემოტანა განაპირობა იმ ფაქტმა რომ ,,ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ქონების შესახებ“ საქართველოს კანონში შეტანილი ცვლილებების საფუძველზე თვითმმართველი ერთეულის ქონების ფლობის, განკარგვის და ქონებით სარგებლობის წესებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ადგენს თვითმმართველი ერთეულის წარმომადგენლობითი ორგანო - საკრებულო.

აზრი გამოთქვეს: თეიმურაზ ცოცხალაშვილმა, იოსებ ფილაურმა

კენჭისყრის შედეგად

“ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე–20 მუხლის შესაბამისად,

თიანეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო ა დ გ ე ნ ს:

(დადგენილება თან ერთვის)

მოისმინეს: 4. თიანეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო-საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის მიერ 2010 წლის განვლილ პერიოდში გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიშის მოსმენის თაობაზე.

მომხსენებელი: ზაზა ბადურაშილი

აზრი გამოთქვეს: დავით ჭინჭარაულმა, ირკალი დიდებაშვილმა

ღია კენჭისყრის შედეგად

,,ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ'' საქართველოს ორგანული კანონის 28-ე მუხლის, თიანეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დებულების (რეგლამენტის) 25-ე მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე,

თიანეთის მუნიციპალიტეტის საკრებულომ

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

ცნობად იქნეს მიღებული თიანეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარის ზაზა ბადურაშვილის მიერ წარმოდგენილი ანგარიში ,,თიანეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის მიერ 2010 წლის განვლილ პერიოდში გაწეული მუშაობის შესახებ.''

(განკარგულება თან ერთვის)

მოისმინეს: 5. თიანეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის მიერ 2010 წლის განვლილ პერიოდში გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიშის მოსმენის თაობაზე.

მომხსენებელი: მერაბ ქეშიკაშვილი

აზრი გამოთქვეს: იაგო შარაზადიშვილმა, თამაზ პატარაშვილმა

ღია კენჭისყრის შედეგად

,,ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ'' საქართველოს ორგანული კანონის 28-ე მუხლის, თიანეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დებულების (რეგლამენტის) მე-3 მუხლისა და 25-ე მუხლის მე-6 პუნქტის საფუძველზე,

თიანეთის მუნიციპალიტეტის საკრებულომ

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

ცნობად იქნეს მიღებული თიანეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარის მერაბ ქეშიკაშვილის მიერ წარმოდგენილი ანგარიში ,,თიანეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის მიერ 2010 წლის განვლილ პერიოდში გაწეული მუშაობის შესახებ.”

(განკარგულება თან ერთვის)

მოისმინეს: 6. თიანეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის მიერ 2010 წლის განვლილ პერიოდში გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიშის მოსმენის თაობაზე.

მომხსენებელი: გოჩა ჯანგირაშვილი

აზრი გამოთქვეს: ბესიკ გიგაურმა, ზურაბ ბექაურმა

ღია კენჭისყრის შედეგად

,,ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ'' საქართველოს ორგანული კანონის 28-ე მუხლის, თიანეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დებულების (რეგლამენტის) მე-3 მუხლის მე-5 პუნქტის და 25-ე მუხლის მე-5 პუნქტის საფუძველზე,

თიანეთის მუნიციპალიტეტის საკრებულომ

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

ცნობად იქნეს მიღებული თიანეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარის გოჩა ჯანგირაშვილის მიერ წარმოდგენილი ანგარიში ,,თიანეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის მიერ 2010 წლის განვლილ პერიოდში გაწეული მუშაობის შესახებ.”

(განკარგულება თან ერთვის)

საკრებულოს თავმჯდომარე გ. წიკლაური